კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა
I ტური
მე-4 კლასი

სავარჯიშო I. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი: (60 ქულა)

1. რამდენი არსებითი სახელია წინადადებაში: „გვრიტი მახეში მოყვა.''
   ა) ორი ბ) ოთხი გ) ხუთი
2. რამდენი საზოგადო არსებითი სახელია წინადადებაში: „ქალაქის მერმა შეხვედრაზე დაიგვიანა.“
   ა) ერთი ბ) ორი გ) სამი
3. რამდენი საკუთარი სახელია წინადადებაში: ,,ჩემოდენა ჯაფაში სულიერი არ არის, ამბობდა დავითი.”
   ა) ერთი ბ) ორი გ) სამი
4. წინადადებაში ხაზგასმული სიტყვები არის: „აი, <u>ულონო</u> და <u>ბზუილა</u> ფუტკარი კი მარტო ყვავილებზე დაფრთხიალებს.“
   ა) არსებითი სახელები ბ) რიცხვითი სახელები გ) ზედსართავი სახელები
5. „ბიძაჩემმა წასდგა წინ რამდენიმე ნაბიჯი და <u>ნაღვლიანი</u> ხმით დაიძახა.“ - წინადადებაში ხაზგასმულ სიტყვას დაესმის კითხვა:
   ა) როგორი? ბ) რამდენი? გ) სადაური?
6. რამდენგვარია რიცხვითი სახელი?
   ა) სამგვარი ბ) ოთხგვარი გ) ხუთგვარი
7. რომელი ჯგუფისაა რიცხვითი სახელი წინადადებაში: „გადავწყვიტე, მეხუთე რიგში ვარდები უნდა დავრგო.“
   ა) რაოდენობითი ბ) რიგობითი გ) წილობითი
8. ჩამოთვლილთაგან რომელია რიგობითი რიცხვითი სახელი?
   ა) თხუთმეტი, რვა ბ) სამოცი, ასი გ) მეათე, პირველი
9. რომელი არ არის გაურკვეველი რიცხვითი სახელი?
   ა) ცოტა ბ) სამასი გ) უამრავი
10. რომელია სწორად დაწერილი რიცხვითი სახელი?
    ა) მე-8 ბ) მე-11-ე გ) მეასმერვე
11. ხაზგასმული სიტყვა არის: „<u>ეს</u> ყვავილი ისევ აქ დადგით, გთხოვთ.“
    ა)პირის ნაცვალსახელი ბ)კუთვნილებითი ნაცვალსახელი გ) ჩვენებითი ნაცვალსახელი
12. ხაზგასმული სიტყვა არის: ,,<u>ჩვენ</u> არ გვითქვამს, ალბათ, წიგნში ამოიკითხა.“
    ა) პირის ნაცვალსახელი ბ) კუთვნილებითი ნაცვალსახელი გ) ჩვენებითი ნაცვალსახელი
13. რომელი ჯგუფისაა ჩამოთვლილი ნაცვალსახელები: ჩემი, თქვენი?
    ა) პირის ბ) კუთვნილებითი გ) ჩვენებითი
14. რამდენი მოქმედების გამომხატველი სიტყვაა წინადადებაში: „მთის ფერდობზე გამორბის თეთრჩოხიანი მხედარი.“
    ა) ერთი ბ) ორი გ) სამი
15. რომელ დროშია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში: „მერე მხიარულად <u>დაიკრუტუნა</u> და მოხდენილის, ჩქარის გოგმანით ბუდეს რამდენჯერმე შემოურბინა.“?
    ა) ახლანდელში ბ) მომავალში გ) წარსულში
16. რომელ დროს გამოხატავს ზმნა მოცემულ წინადადებაში?,,ძღვნად და საჩუქრად სახელგანთქმულ მებატონეს ღარიბი აზნაურისაგან მოუვიდა გარეული ბატი.“
    ა) წარსულ დროს ბ) მომავალ დროს გ) ახლანდელ დროს
17. ჩამოთვლილთაგან რომელს დაესმის კითხვა: რას იზამს?
    ა) დაღონდება ბ) გამოეხმაურა გ) ეკითხება

18. რომელ პირშია ზმნა „ხუმრობ“?

ა) პირველ პირში ბ) მეორე პირში გ) მესამე პირში

19. რომელ პირშია ზმნა „უკრავდნენ“?

ა) პირველ პირში ბ) მეორე პირში გ) მესამე პირში

20. რომელ პირშია ზმნა „ვწერთ“?

ა) პირველ პირში ბ) მეორე პირში გ) მესამე პირში

სავარჯიშო II. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი: (30 ქულა)

21. რამდენი რთული სიტყვაა წინადადებაში: „ყველა წინააღმდეგი იყო: დედ-მამა, ცოლ-შვილი, და-ძმა.“

ა) ერთი ბ) ორი გ) სამი

22. რომელია სწორად დაწერილი რთული სიტყვა?

ა) გულგატეხილი ბ) ღარიბღატაკი გ) დღეღამე

23. რომელია მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვები ანუ სინონიმები?

ა) დაღლილი-ძლიერი ბ) ბეჯითი-შრომისმოყვარე გ) ადრე-გვიან

24. რომელია საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვები ანუ ანტონიმები?

ა) წყნარი-ხმაურიანი ბ) უამრავი-ურიცხვი გ) უგუნური-უჭკუო

25. რომელია მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვები ანუ სინონიმები?

ა) უმარილო, შაქრიანი ბ) უმარილო, მტკნარი გ) უმარილო, მარილიანი

26. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში: „ქარი გიმღერის ნანასა, <u>ზღაპარს</u> გიამბობს ჭადარი.“?

ა) სახელობითში ბ) მიცემითში გ) ნათესაობითში

27. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში: „<u>საქართველოო</u> ლამაზო, სხვა საქართველო სად არის?!.“

ა) სახელობითში ბ) მოთხრობითში გ) წოდებითში

28. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში: „მტერს უტევდა კავკასიის <u>მთების</u> ძირას.“

ა) სახელობითში ბ) მოთხრობითში გ) ნათესაობითში

29. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში: ,, დაეცა და მიწას სისხლი დაეწვეთა, ბუბუნებდა კავკასიის <u>მიწა</u>...“

ა) სახელობითში ბ) მოქმედებითში გ) ვითარებითში

30. რომელია მიცემითი ბრუნვის ნიშანი?

ა) ს ბ) ვ, ო გ) ის, ს

სავარჯიშო III. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი: (10 ქულა)

31. ,,ზურგი უჩვენა“ ანუ

ა) დაეხმარა ბ) მოეფერა გ) შეეშინდა და გაიქცა

32. „მხართეძოზე წევს“ ანუ

ა) გვერდულად წევს ბ) უსაქმურობს გ) ავადაა

33. ,,არაფერი იცის“ იგივეა, რაც:

ა) „ჭურში ზის“ ბ) „ჩაილურის წყალი დალია“ გ) ,,ფეხს ითრევს“

34. ,,ქოქოლა დააყარა“ ანუ

ა) ნივთები გადაუცვივდა ბ) გაკიცხა გ) გადაიკისკისა

35. ,,ბეწვის ხიდზე გავლა“ ანუ

ა) საფრთხის, განსაცდელის გამოვლა. ბ) დაზიანებულ ხიდზე გავლა. გ) სიარულის დაწყება.